

რეკომენდირებულია საქართველოს
კომპლემენტარული და ალტერნატიული მედიცინის
ნაციონალური ცენტრის მიერ www.gnccam.org

ფიტო ფორმულა მოღისანი

საუკეთესო გზა
ჯანმრთელობისაკენ




დანვრილებითი
რეკომენდაციები
სხვადასხვა
დაავადებების
პროფილაქტიკისა
და სამკურნალოდ



მოცისანი

მრავალფუნქციონალური პრეპარატი!



მოლისანი არის გარეგანი და ადგილობრივი გამოყენების, ანტისეპტიკური და ანთების საწინააღმდეგო, ფართო სპექტრის კომპლემენტარული სამკურნალო საშუალება, რომელსაც, თავისი უნიკალური ფორმულის გამო მსოფლიო ბაზარზე არ აქვს ანალოგი. მოლისანი გამოიჩენება მკვეთრად გამოხატული გამჭმენდი მოქმედებით, გამოდევნის ჩირქს ინფიცირებული ჭრილობიდან და კარბუნკულებიდან, ასუთთავებს და აახალგაზრდავენ კანს. მოლისანი ეფექტურია პირის ღრუს, ცხვირხახის და სასუნთქი ორგანოების დაავადებების მიმართ.

მოლისანი გამოიყენება გაზავების გარეშე. გაზავება ასუსტებს პრეპარატის სამკურნალო თვისებებს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გიჭირთ მოლისანის გამოყენება, განიცდით დისკომფორტს, გააზავეთ იგი თბილ ანადუღარ წყალში (1 ნაწილი წყალი + 2 ნაწილი მოლისანი). მოლისანის გამოყენების დროს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მდგომარეობას კოლოიდური ვერცხლის და ცოცხალი წყალის მიღება.

გვერდითი მოვლენები:
არ გამოვლენილა.

უკუჩვენება:
ინდივიდუალური შეუთავსებლობა, ან ჰიპერმგრძნობელობა პრეპარატის მიმართ.

შემადგენლობა:

- aqua destillata
- natrii chloridum
- essentialis olea (melaleuca alternifolia, eucalyptus, menthe piperita)

«ცხოვრებაში არ მიყიდა ისეთი წამალი, რომელსაც ასეთი ეფექტური შედეგი ჰქონდა! ძალიან კმაყოფილი ვარ!!! არაჩვეულებრივი წამალია!» დალი ჭ.

«საოცარი პროდუქტი გაქვთ, ძალიან მომეწონა!» ნათია ჭ.

«მე ფანი ვარ მოლისანის! შესანიშნავი პრეპარატია.» მაია შ.

«მოლისანი როგორც ჰუმანიტარული დახმარება, უნდა დარიგდეს ქვეყანაში. სრული სერიოზულობით ვამბობ!» რუსუდან რ.

დაწვრილებითი რეკომენდაციები:

აბსცესი (ჩირქროვა)

- მოუმწიფებელი ჩირქი უნდა დამუშავდეს თბილი მოლისანით და შემდეგ მას უნდა დაედოს მოლისანის კომპრესი. თუ ჩირქი გამოვიდა, ან გაიჩხვლიტა, ის უნდა ჩაირეცხოს მოლისანით და დაედოს ნახვევი.

ალერგია, ალერგიული დერმატიტი

- უპირველეს ყოვლისა, უნდა დაადგინოთ, თუ რამ გამოიწვია ალერგიული დერმატიტი (კონტაქტი მცენარეებთან, მტვერი, ქიმიური ნივთიერებები, სუნი და სხვა). გამონაყარი, შესიებები, უნდა დასველდეს მოლისანით (3 დღე მიყოლებით). დღეში 5-6-ჯერ, ჭამის შემდეგ, გამოიბანეთ ცხვირი, პირის ღრუ, ყელი პრეპარატ მოლისანით. ყოველი პროცედურის შემდეგ დალიეთ 0,5 ჭიქა გასუფთავებული წყალი. გამონაყარი, მუწუკები დაასველეთ მოლისანით დღეში 5-6-ჯერ.

- პროფილაქტიკის მიზნით სასურველია მოლისანის ყოველდღიურად გამოყენება.
- დაავადება გაივლის 2-3 დღეში. პარალელურად სასურველია ალერგიის გამომწვევი მიზეზის დადგენა და მკურნალობა.

ანგინა, ქრონიკული ტონზილიტი, ლარინგიტი

- სამი დღის განმავლობაში დღეში 5-6-ჯერ, აუცილებლად ჭამის შემდეგ, ცხვირ-ხახა და ყელი გამოირეცხეთ თბილი მოლისანით. გარდა ამისა, დაავადების პირველი დღიდანვე ნუშისებრი ჭირკვლები უნდა ჩაირეცხოთ თბილი მოლისანით. ჩარეცხვა მოსახერხებელია სამედიცინო შპრიცით ნემსის გარეშე.
- პირველივე დღეს დაიწვეს ტემპერატურა, დაავადება გადის 2-3 დღეში. ზოგ შემთხვევაში მომდევნო დღეს. ერიდეთ გაცივებას, ისაუბრეთ ხმადაბლა, სასარგებლოა «C» და «B» ჯგუფის ვიტამინებისა და პოლივიტამინების მიღება. მოერიდეთ ცხარე და უხემ საკვებს.

ბუასილი, სწორი ნაწლავის ნაპრალები

- მკურნალობა დაიწყეთ ტუალეტის შემდეგ. ჯერ ჩამოიბანეთ ნაპრალები, კვანძები თბილი წყლითა და საპნით, შემდეგ გაიმშრალეთ და დაიმუშავეთ მოლისანით. ეს პროცედურა ყოველი ტუალეტის შემდეგ გაიმეორეთ. გარდა ამისა, პირველი 10 დღე ჭამამდე 1 საათით ადრე დალიეთ ყოველ ჯერზე 300 მლ გასუფთავებული წყალი. ყაბზობის გამეორების შემთხვევაში კი დალიეთ ყოველ ჯერზე 200 მლ კიდევ 2-3 დღე. სასარგებლოა მოლისანის მიკროოცნების გაკეთება 30-40 მლ-ის ოდენობით, რაც შეიძლება დიდხანს (არანაკლებ 15-20 წუთი) დაყოვნებით სწორ ნაწლავში. ოცნის წვერი დაამუშავეთ ვაზელინით და გაიკეთეთ ფრთხილად. მოლისანით გაჟღენთილი მარლის (დოლბანდის) ტამპონი შეიყვანეთ სწორ ნაწლავში 3-4 სმ-ის სიღრმემდე.
- სისხლდენა წყდება, რეგულირდება კუჭის მოქმედება, წყლულები, ნაპრალები ხორცდება 3-4 დღეში. მკურნალობის დროს უნდა მოერიდოთ ცხარე საჭმელს,

შებოლილ პროდუქტებს, არ უნდა მიიღოთ მაგარი ალკოჰოლური სასმელები.

- ოცნა შეიძლება გაიჩეროთ ზურგზე დაწოლილ მდგომარეობაში, მენჯის ქვეშ ამოღებული ბალიშით.

ჭრილობები, დაბუჟილობა, ნაკაწრები

- ჭრილობა ჩაირეცხეთ მოლისანით და დაელოდეთ, სანამ გაშრება. თუ გაჩნდება ჩირქი, ხელახლა დაამუშავეთ მოლისანით.
- ჭრილობა შეხორცდება 2-3 დღის განმავლობაში.

გრიპი

- პირველ დღეს რეკომენდირებულია უჭმელობა (ორგანიზმმა არ უნდა დახარჯოს ენერგია საკვების გადასამუშავებლად, არამედ უნდა მიმართოს იგი ვირუსებთან საბრძოლველად). პერიოდულად დღეში 6-8 ჯერ უნდა გამოირეცხოთ ცხვირი, პირი, ყელი თბილი მოლისანით.
- გრიპი გაივლის 2-3 დღეში, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას იგრძნობთ პირველივე დღეს.

დამწვრობა, მზეზე გარუჯვა

- მზით დამწვრობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია კანის საკმარისად დანამვა-გაგრილება მოლისანის შესხურებით, რაც ტკივილს ამცირებს და ანთებით პროცესს აფერხებს. კარგ შედეგს იძლევა დამწვრობაზე მოლისანში დასველებული სელის ტილოს საფენების გამოყენება. იმის გამო, რომ კანი დამწვრობის დროს ბევრ სითხეს კარგავს, აუცილებელია საკმარისი რაოდენობის სითხის, უმჯობესია «ცოცხალი წყლის» მიღება.

დეზინფექცია

- მოლისანი საუკეთესო სადეზინფექციო საშუალებაა. ვირუსული ინფექციის საშიშროების დროს სასურველია მოლისანით დამუშავდეს ჰაერი. თუ თქვენ არ გაქვთ გასაფრქვევი აპარატი, დაასველეთ თეთრი “ვაფლის” პირსახოცი მოლისანით, გაწურეთ და დაფერთხეთ ოთახში.

ღიათეზი

- ყოველგვარი გამონაყარი და შეშუპება გაისუფთავეთ მოლისანით, ადროვით, რომ გაშრეს. პროცედურა გაიმეორეთ 3-4 ჯერ დღეში. გადახედეთ მენიუს და გამორიცხეთ ღიათეზის გამომწვევი პროდუქტები. მიიღეთ ნაკლები რძე და კარაქი და მეტი ეკოლოგიურად სუფთა ბოსტნეული და ხილი. თავი შეიკავეთ ქიმიური წამლების მიღებისგან.
- როგორც წესი, ღიათეზი გაივლის 2-3 დღეში. სასურველია შემონმდეს, იწვევს თუ არა ღიათეზს ოთახის ყვავილები, შინაური ცხოველები.

ეგზემა

- მკურნალობამდე დაზიანებული ადგილები დაიორთქლეთ (გაიკეთეთ ცხელი კომპრესი), რის შემდეგ დაასველეთ მოლისანით და მიეცით გაშრობის საშუალება. პროცედურები გაიმეორედ კვირის განმავლობაში ან უფრო ხანგრძლივად.
- ჩვეულებრივ, დაზიანებული ადგილები ხორცდება 5-6 დღეში, ზოგჯერ უფრო მალე.

ვენების გაგანიერება

- გაფართოებული ვენები და სისხლმდენი აღვილები ჩამოირეცხეთ ან რამოდენიმეჯერ გაიწმინდეთ მოლისანით.
- ტკივილის შეგრძნებები მცირდება, დაავადებაც თანდათან იკურნება.

თმის ცვენა ცხიმოვანი სეზორეის დროს

- დაბანის შემდეგ მოლისანით დასველებული ბამბის ტამპონით დაიზილეთ თავის კანი, დაიფარეთ პირსახოცი და ადროვეთ თმას გაშრობა.
- პროცედურები უნდა განმეორდეს 2-3 ჯერ დღეში 6-8 დღის განმავლობაში. თავის დაბანა საკმარისია დღეში ერთხელ.
- თმის ცხიმოვანობა მცირდება, ქავილი თანდათან ქრება. ვისაც აქვს მიდრეკილება მაღალი წნევისაკენ, უნდა აკონტროლოს წნევა.

ინტიმური ჰიგიენა

- ქალებისათვის: მოლისანი ანადგურებს ქალის საშოს ლორწოვანის პათოგენურ ფლორას (ბაქტერიულ-ვირუსული

ინფექცია, კოლპიტი, ვაგინიტი, კანდიდომიკოზი, ჰიპერსეკრეცია, თეთრად შლა). მოლისანი გამოიყენება ისევე როგორც საშვილოსნოს ეროზიის დროს, ან ჩაბანვით.

- მამაკაცებისათვის: მოლისანი ხასიათდება ანტიანთებითი მოქმედებით სასქესო ორგანოებზე. და ხელს უშლის სქესობრივი გზით ვირუსულ-ბაქტერიული, სოკოვანი ინფექციის გადაცემას. ეფექტურია candida-ს რიგის სოკოსადმი, რომელიც იწვევს კანდიდოზს. სქესობრივი აქტის შემდეგ სასქესო ორგანო სასურველია რომ დამუშავდეს მოლისანით. პროფილაქტიკის მიზნით მოლისანის გამოყენება უმჯობესია ყოველდღიურად. იმუნიტეტის გასაძლიერებლად, განსაკუთრებით კი საშარდე გზების ინფექციის შემთხვევაში სასურველია კოლოიდური ვერცხლის მიება.

კანის მოვლა (სახის სეზორეა, მუწუკები, ჩირქოვანი გამონაყარი-აკნე, ფერიმჭამელა, სტაფილოკოკი, პაპილომა ვირუსი, ხანდაზმულობის ლაქები)

- მოლისანი, მისი ბიოლოგიური აქტივობიდან გამომდინარე, უპირველესად არის კანის მადეზინფიცირებელი, რომელიც პირველ რიგში გამოდევნის ჩირქს მისი არსებობის შემთხვევაში და შემდგომ აღადგენს კანის ბუნებრივ ბალანსს, ხსნის გაღიზიანებას, აწყნარებს და აძლიერებს კანის დამცველ რეაქციებს. მოლისანის გამოყენება როგორც ბიოსტიმულატორი და ანტიოქსიდანტი ააქტიურებს სახის კანის უჯრედების ფუნქციას.
- კანის სუნთქვითი ფუნქციის გასაუმჯობესებლად, მისი კაპილარული სისხლის მიმოქცევის სისტემის აღსადგენად საჭიროა კანი გასუფთავდეს ატმოსფერული დაბინძურებისაგან, ცხიმისაგან, მაკიაჟის კვალისაგან და მკვდარი უჯრედებისაგან.

- ამისათვის საჭიროა ყოველდღე დამუშავდეს სახის, კისრის, ხელ-ფეხის კანი მოლისანში დასველებული ბამბა-დოლბანდის ტამპონით. კანის გაშრობის შემდეგ სასურველია პროცედურის განმეორება.
- სასარგებლოა ასევე დილაობით, ღღეგამომშვებით, 15-20წ. გაკეთებულ იქნას მოლისანის სახის და კისრის კომპრესები.
- მოლისანის გამოყენება ღლის განმავლობაში შეზღუდული არ არის, რაც უფრო ხშირად გამოვიყენებთ მოლისანს (5-6 ჯერ, ან მეტი), მით უფრო ჩქარა მივაღწევთ სასურველ შედეგს. მოლისანი ბუნებრივი საშუალებაა, და ჩამოხანვას არ საჭიროებს.
- მოლისანი აახალგაზრდავებს კანს, ხელს უწყობს მუწუკების, ფერიმჭამელების, გამონაყარის, მზისმიერი და ასაკობრივი პიგმენტური ლაქების გაქრობას. ამ უკანასკნელის ლიკვიდაციისათვის, ასევე ეფექტურია მოლისანის საფენების გამოყენება. მოლისანი აქტიურად გამოიყენება გარდამავალ ასაკში, კანი

სუფთავდება, ქრება გამოწყარი.

- დღისა და ღამის ჩვეულებრივი დაბანვის შემდეგ სასარგებლოა სახის, კისრის, ხელების, ყურების მოლისანიტ მობანვა. მიეცით მას აორთქლების საშუალება, რათა კანი გახდეს ელასტიური და მკვრივი.
- დაიბანეთ მოლისანიტ, და თქვენ შეამჩნევთ თუ როგორ გაქრება კანის დაჭიმულობის შეგრძნება, რომელიც წარმოიქმნება ონკანის წყლის გამოყენებისას.
- გაპარსვის შემდეგ, კანის გაღიზიანების თავიდან ასაცილებლად სასარგებლოა სახის მოლისანიტ მობანვა (ოდეკოლონის, გელისა და ლოსიონის მაგივრად).
- კანის მოვლის დროს, მაქსიმალური ეფექტის მისაღებად, ორგანიზმიდან ბიოლიგიური შლაკების და ტოქსინების გამოდევნის მიზნით, რეკომენდირებულია „ცოცხალი წყალის“ მიღება 25-30 ღლის განმავლობაში. „ცოცხალი წყალი“ აუმჯობესებს კუჭნაწლავის მოქმედებას, ნივთიერებათა ცვლას და ხასიათდება ზოგად მასტიმულირებელი

და მატონიზირებელი მოქმედებით. ჭარბი წონის არსებობის შემთხვევაში ხდება წონის კორექტირება.

კბილის ტკივილი

- 10-20 წუთის განმავლობაში გამოივლეთ პირის ღრუ მოლისანიტ. საჭიროების შემთხვევაში პროცედურა გაიმეორეთ. ტკივილი გადის შედარებით მალე, თუმცა, ეს არ გამოირიცხავს კბილის ექიმთან ვიზიტს.

მასტიტი

- ჭრილობას 8-10 წუთის განმავლობაში ამუშავებენ პრეპარატ მოლისანიტ და ზედ აფენენ მოლისანიტ გაჟღენთილ დოლბანდის ხელსახოცს. ამუშავებენ დღეში 2-ჯერ. მე-4 დღიდან, როდესაც გამომჟღავნდება ქსოვილის გრანულაცია, ჭრილობაზე ადებენ მეორად ნაკერს, ზემოდან კი მოლისანიტ სახვევს 2 ღლის განმავლობაში.

ნაწოლეები

- ნაწოლეები ფრთხილად ჩამოიბანეთ თბილი მოლისანით და მიეცით შემრობის საშუალება. შეხვევის შემდეგ შეიძლება დაასველოთ ბინტიდან. ჩირქის წარმოშობისას პროცედურა მეორდება (ისევე როგორც ჩირქოვანი ჭრილობის მკურნალობისას). პაციენტს ეძლევა რეკომენდაცია დანეეს სელის ლეიბზე. ნაწოლის ქვეშ უფენენ სელის თესლებიან ტომარას (ჭრილობამ რომ უკეთ ისუნთქოს). ერთი ციკლი განისაზღვრება 6 დღით.
- პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მკურნალობის ამ მეთოდის შედეგად ნაწოლეები ხორცდება უფრო სწრაფად, ვიდრე ტრადიციული, ქიმიური ნამლებით მკურნალობისას.

ოფლიანობა ცუდი სუნით. ჭარბი ოფლიანობა

- დღეში ორ-სამჯერ (დილას და საღამოს, ან დილას, შუადღეს და საღამოს) თბილი წყლით და საპნით დაბანის

და გამშრალეების შემდეგ დაისველეთ ილიები და ფეხის ტერფები მოლისანით. პროცედურა გაიმეორეთ 2-3 დღე, პროფილაქტიკისათვის პროცედურების გამეორება სასურველია ყოველდღიურად.

- როგორც წესი, სუნი ქრება მეორე დღესვე, ჭარბი ოფლიანობა იკლებს.

ოტიტი

- ყური ფრთხილად გამოიბანეთ თბილი მოლისანით, ბამბით ამოიშრეთ სითხის ნარჩენები. დაიდეთ თბილი მოლისანით გაჟღენთილი ტილო და დაითბუნეთ. გამონადენი და ჩირქი მოიწმინდეთ მოლისანში დასველებული ბამბით. გართულების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს.
- ერიდეთ გაციებას, უმკურნალოთ სურდოს.

პანარიციუმი

- პირველი 2 დღე 10-15 წუთის განმავლობაში დააყოვნეთ თითები ჭურჭელში თბილი (35-40 გრადუსამდე) მოლისანით, რის შემდეგ გაიშრეთ და

დაზიანებულ ზედაპირზე გაიკეთეთ მოლისანის სველი საფენი. ჩირქგროვის გახსნის შემდეგ (ჩვეულებრივ ეს ხდება მე-2 დღეს) კერა დაიმუშავეთ მოლისანით. მკურნალობის კურსი სრულდება 7-10 დღეში.

- ნაპრალები და წყლულები სწრაფად ხორცდება, გამოიდენება ჩირქი.

პარაპროქტიტი

- უპირველეს ყოვლისა უნდა დაიცვათ პირადი ჰიგიენა. ეცადეთ, რომ არ გქონდეთ ყაბზობა. დროულად უმკურნალოთ ბუასილს, თაღარათს. მკურნალობისთვის საჭიროა, რომ კუჭის დაცლის შემდეგ უკანა ტანი ჩაიბანოთ თბილი წყლითა და საპნით, შემდეგ კი ნაპრალები დაიმუშაოთ თბილი მოლისანით, გაიკეთოთ ოყნა თბილი მოლისანით და შეძლებისდაგვარად უნდა დააყოვნოთ 10-15 წუთი. გამონადენის და ჩირქის არსებობის შემთხვევაში, სასურველია ოყნის განმეორება. პროცედურის დასრულებისას საჭიროა

თბილი, ანადუღარი წყლის ოყნის გაკეთება.

- სასარგებლოა დიეტა კალციუმის, ცილების, ფოსფორის და ვიტამინი D მაღალი შემცველობით.

პიოდერმია (ფურუნკულოზი)

- კანის ქერქის მოშორების შემდეგ, დაზიანებულ ზონას ჩამოიბანენ დღეში 2-3-ჯერ პრეპარატ მოლისანით. ყოველი ჩაბანის შემდეგ დაზიანების ზონაზე იდებენ მოლისანით სველ საფენს, რომელსაც ცვლიან ყოველი გაშრობის შემდეგ. პროცედურა მეორდება დაახლოებით 8 დღე, ჩვენებების მიხედვით.

ნესპირატორული (მწვავე) დაავადებების პროფილაქტიკა. გაციება ეპიდემიის დროს

- პერიოდულად კვირაში 3-4 ჯერ, საჭიროებისამებრ კი ყოველდღე, დილა-საღამოს, (სამსახურიდან დაბრუნებისას) მოლისანით გამოირეცხეთ პირის ღრუ, ცხვირის ღრუ და ყელი.

ინფექციურ ავადმყოფთან კონტაქტისას, პოლიკლინიკებში, საავადმყოფოებში ყოფნისას ეს პროცედურები ჩაიტარეთ დამატებით. სასურველია სახლში ხელ-პირი დაიბანოთ პრეპარატ მოლისანით.

- ილუპება მიკრობები, ბაქტერიები, შესაძლებელია დაავადების აცილება.

საშვილოსნოს ყელის ეროზია

- ღამით შეიშხაჰუნეთ ან გაიკეთეთ საშოს აბაზანები თბილი (38 გრადუსი) მოლისანით. სასურველია პროცედურები გაიმეოროთ დღეში 2-3 ჯერ.
- მკურნალობა გრძელდება 5 დღე. ჩვეულებრივ მოლისანის 2-4 პროცედურის შემდეგ ქრება ქავილი, ანთების ნიშნები, მცირდება საშოს ქსოვილების შეშუპება, გამონადენი ხდება გამჭვირვალე.

სურდო

- 2-3 -ჯერ მოლისანით გამოირეცხეთ ცხვირის ღრუ თანდათანობით შესრუტვით. ბავშვებს ცხვირში უნდა ჩაუნვეთოთ

მოლისანი პიპეტით. დღის განმავლობაში შეიძლება პროცედურის რამოდენიმეჯერ გამეორება საჭიროების მიხედვით.

- ბანალური სურდო გადის 10-20 წუთში.

სტომატიტი, პარადონტიტი, გინგივიტი (ღრძილების ანთება)

- ამ დაავადებას იწვევს ბაქტერიები ან ვირუსები, უხარისხო ბუფნი, გვირგვინი, ნალექი კბილებზე. ამისათვის პირველ რიგში უნდა დაიცვათ პირის ღრუს ჰიგიენა. რეგულარულად და სწორად გაისუფთაოთ კბილები, ყოველი ჭამის შემდეგ საჭიროა რამდენჯერმე 1-2 წუთით გამოივლოთ მოლისანით კბილები და პირის ღრუ. პირის ღრუს დაზიანებულ ლორწოვანზე 5 წუთის განმავლობაში დაიდეთ მოლისანიანი ბამბის ლილვაკი. სასარგებლოა პერიოდულად ღრძილების მასაჟი.
- მცირდება და წყდება სისხლდენა ღრძილებიდან, თანდათანობით ცილდება ქვები, ქრება უსიამოვნო სუნი.

სოკო. ფეხის, კანის (დერმატომიკოზი)

- მკურნალობის დაწყების წინ, დაზიანებული ადგილები უნდა ჩამოიბანოს საპნითა და ცხელი წყლით და გაიმშრალოს. მკურნალობის პირველ ეტაპზე დაზიანებულ ზედაპირზე დაიდოთ პრეპარატ მოლისანის ოთხფენოვანი საფენი. პერიოდულად დაისველეთ ის 10-15 წუთის შემდეგ და გაიმეორეთ პროცედურები დღეში 6-8-ჯერ. ასეთი მკურნალობა გრძელდება 5-6 დღე. თუ სოკომ დააზიანა ფრჩხილები, ისინი უნდა გააჩეროთ ცხელ წყალში, შემდეგ დაიჭრათ და დაისუფთაოთ. ფრჩხილების სოკოს სამკურნალოდ სასურველია გაიკეთოთ აბაზანა ფეხებისათვის და დააყოვნოთ ტერფები ცხელ მოლისანში 30-35 წუთით.
- კანის სოკო ქრება 7-10 დღეში, ფრჩხილის სოკო იკურნება ხანგრძლივი დროის განმავლობაში მანამ, სანამ თანდათანობით არ შეიცვლება (პერიოდულად მოიჭრება) დაზიანებული ფრჩხილები და არ წამოიზრდება ახალი, ჭანსადი. წინდებსა და ფეხსაცმელს

აუცილებლად ჭირდება მოლისანით დეზინფიცირება.

ფულეკმონა

- მოლისანის საფენს ადებენ ინფილტრატის არეზე 20-30 წუთით, 4-5-ჯერ დღეში. ამის შემდეგ ჭრილობას ჩარეცხავენ პრეპარატ მოლისანით და 6-8 საათის განმავლობაში ჭრილობაში ტოვებენ სტერილურ ხელსახოცს. მე-9 დღიდან ჭრილობას ჭარბად გამორეცხავენ პრეპარატ მოლისანით 3-5-ჯერ დღეში.
- ჩვეულებისამებრ დაზიანებული ადგილები ხორცდება შედარებით მალე.

ფსორიაზი (ქერცლოვანი სირსველი)

- მკურნალობამდე საჭიროა კარგად დაიბანოთ საპნით. დაზიანებული ადგილები აგრეთვე უნდა დაიოროთქლოს მაქსიმალურად მოსათმენი ტემპერატურით და გაკეთდეს ცხელი კომპრესები, რათა ქერცლი და დაზიანებული კერა დარბილდეს. ამის შემდეგ დაზიანებულ ადგილს გაუკეთდეს აპლიკაცია თბილი

მოლისანით 20-40 წუთით. პროცედურები უნდა განმეორდეს 3-4-ჯერ დღეში. დაავადება ძნელად განკურნებადი, ავადმყოფს მოეთხოვება ნებისყოფა და მოთმინება.

- 4-5 დღის შემდეგ დაავადებული ადგილები სუფთავდება. სირსველი თანდათან ქრება. ხშირად საკმარისია მკურნალობის 3-4 ციკლი. მკურნალობის პროცესში უნდა ვერიდოთ ცხარე საკვებს, განსაკუთრებით შებოლილ, დამაშხულ პროდუქტებს, ალკოჰოლს. არ მოწიოთ, ეცადეთ არ ინერვიულოთ.

ჩირქოვანი და ოპერაციის შემდგომი ჭრილობები, ტროპიკული წყლულები, კარბუნკულები

- ჩირქოვანი და ოპერაციის შემდგომი ჭრილობები, ტროპიკული წყლულები. ჩირქოვანი ღრუს გახსნისა და ნეკროზული ქსოვილების მოცილების შემდეგ, გამოიყენება პატარა ოყნა და ჭრილობა მუშავდება თბილი მოლისანით (2-3 წუთი), შემდეგ ედება სტერილური,

მოლისანით დასველებული ტამპონი. ნახვევი შეიძლება შეიცვალოს დღეში 2-ჯერ. მე-3 დღიდან ჭრილობა მუშავდება მოლისანით 3-5 წუთის განმავლობაში. დამუშავების შემდეგ ტამპონი ჭრილობაში შეიძლება დარჩეს 24 საათი. მე-4, მე-5 დღეს ჭრილობა მუშავდება მოლისანით ტამპონის გარეშე.

- კარბუნკულების სამკურნალოდ მოლისანი გამოიყენება ჩასარეცხად, ნახვევისთვის და ტამპონებისთვის ინფექციური პროცესების კუპირებისთვის, ჭრილობიდან კარგი გამოდენის პირობის შექმნისათვის და გრანულარული ქსოვილის წარმოსაქმნელად, ჩვეულებრივ 10-15 დღის განმავლობაში სრულ გაქრობამდე ჭრილობის 3-5-ჯერ დამუშავებით.
- უკვე ერთი დღის შემდეგ, ჭრილობაში მცირდება ჩირქის და ნეკროზული ქსოვილების რაოდენობა, ქრება ლპობის სუნი. დიდი ჭრილობების შეხორცება იწყება მე-2 მე-3 დღიდან. ძველი ტროპიკული წყლულები ხორცდება უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ჰერპესი

- გამოირეცხეთ პირისა და ცხვირის ღრუ მოლისანით. ჰერპესის შემცველი ბუბტუკები მოწყვეტეთ მოლისანით დასველებული ბამბით და მთელი დღის განმავლობაში 7-8 ჯერ 3-4 წუთით დაიფინეთ დაზიანებულ ადგილზე მოლისანის ტამპონი.

წერილები, გამოხმაურება.

www.facebook.com/molisani.ge

ინგა ხ. ჩირქოვანი გამონაყარი სახეზე (აკნე),
პაპილომა ვირუსი

- ძალიან კმაყოფილი ვარ მოლისანით. ჩემს 19 წლის ბავშვს ჰქონდა გამონაყარი შუბლზე, ვერანაირი ტონალური მაზები, ვერანაირი კრემი ამ გამონაყარს ვერ ფარავდა, ჩირქოვანი გამონაყარი ემჩნეოდა. რა გააკეთა ეხლა მოლისანმა იცით, უარესად გაუწითლა, უარესად დაუჩირქა, ამოუყვანა ყველაფერი ჯერ, ერთი კვირის განმავლობაში, და როდესაც ყველაფერი ამოუყვანა, დაიწყო ლაგება, შემდეგ ჩაშუპება, ჩაშუპება, ჩაშუპება და ნელ - ნელა გაქრობა, გაქრობა, გაქრობა და გაქრა. ეხლა სახის კანი რაღაცა საოცრად გაუმჯობესებული აქვს. სასეხზე აქვს, პაპილომა ვირუსი რომ არის, სხვა პროფესორებთან დამყავდა, და რაღაცა მაზებს ვახმარდი, მაგრამ... მოლისანმა გადაუფხიკა, გადაუქერცლა ეს ყველაფერი. ძალიან დიდი მადლობა ბატონო დავით, არ შემეძლო რომ ეს

ყველაფერი არ მეთქვა თქვეთვის, ისეთი კმაყოფილი ვარ. ღმერთმა გაგახაროთ და გაგაბედნიეროთ.

ციური ა. ჩირქიანი გამონაყარი სახეზე (აკუნე)

- გამარჯობათ ჩემო ბატონო, დიდი მადლობელი ვარ, რომ მე თქვენ შეგხვდით, იმიტომ რომ ის პრობლემები რომლებსაც ვერაფერი ვერ მოუხერხეთ კლასიკური მედიცინით, გადაწყვიტეთ თქვენით. ის რაც ახალგაზრდა ბავშვზე შედეგი მივიღეთ, ის პრობლემა ვერ გადაწყვიტა ვერცერთმა კოსმეტოლოგმა, ვერცერთმა დერმატოლოგმა, და თქვენი წამლის, ერთი ღამით დაფენა პრობლემაზე, და მეორე დღესვე შესანიშნავი შედეგი მოგვცა, გაგვანთავისუფლა პრობლემიდან. რა გააკეთა მოლისანმა, იცით? აი ის ბუდე, რომელშიც იყო ჩირქი, სისხლი, და ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობდა ყურის ძირში, რომელიც იმატებდა, და ხან კლებულობდა გახსნა, და შიგნით არსებული შავი სისხლი სულ გარეთ გამოიტანა. განმინდა და გარეგნულად რომ შეხედავ ალარ არის ისეთი გადიდებული,

და შეხებითაც უკვე ტკივილები მოიხსნა. მტკივნეული ალარ არის. ბავშვი თვითონ აღტაცებულია. ეს ნუთუ მოლისანმა შეძლო, ხო და შეძლო!!!

ნიკა ს. სეზორეა 10 წლის განმავლობაში

- დაახლოებით 10 წლის განმავლობაში მქონდა სეზორეა. ვისაც გქონიათ, ალბათ იცით, საშინელი ფხანა, კანის სიმშრალე და რა თქმა უნდა კანი იქერცლება საშინლად. ხაზგასმით მინდა ვთქვა რომ მქონდა! ექიმებმა, ერთხმად გამომიწერეს ნიზორალის შამპუნი, რომელსაც პერიოდულად ვხმარობდი, ფაქტიურად უშედეგოდ. შამპუნს თუ 1 თვემდე პერიოდი, ვიხმარდი თავის კანს მწვავდა, თუ არადა შედეგი არ ქონდა. შემდეგ წავიკითხე რა არი ზუსტად ეს სეზორეა და აღმოჩნდა რომ მოლისანი შეიცავს ზუსტად იმ კომპონენტებს, რომლებსაც სამკურნალოდ იყენებენ. ყოველ საღამოს თავის კანზე ვიხედი 1 კვირის მანძილზე. იმის მერე გავიდა 2 თვეზე მეტი და კანი ისევ კარგ მდგომარეობაშია. ალარ მიშრება, არც იქერცლება და არც მეფხანება.

მაკა მ. საოპერაციო ბუასილი

- მე ვიყენებ სადღაც 1 კვირაზე მეტია და ვაიმე, რა გააკეთა მოლისანმა, როგორ გითხრა რა გააკეთა. ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, მისვლაც არ მინდოდა საპირფარეშოსთან, უნიტაზთან დაჯდომაც აღარ მინდოდა. ვერც ვდგებოდი, ვერც ვწევოდი, იმას ვფიქრობდი როგორ დავმჯდარიყავი და როგორ დავწოლილიყავი.
- ამჟამათ ვჯდები ჩვეულებრივად, ის წვის პროცესი რაც მე მქონდა და მაწუხებდა, სადღაც აი 10 სანტიმეტრის ოდენობით, სწორ ნაწლავის სიღრმე ძაან ცუდ მდგომარეობაში მქონდა. მწვადა, სისხლდენა მქონდა წამოსვლიდან, ფეკალური მასები, და ნუ რა ვთქვა, რომელი ერთი ვთქვა. მწვადა საშინლად.
- ეხლა ამჟამად ამას ვერცერთს ვერაფერს ვერ ვგრძნობ მე. წუხელ, მხოლოდ აი რაღაცნაერი მოწოლითი ტკივილი მქონდა სადღაც ხანმოკლე, 5 წუთიანი. მაგრამ იმანაც გაიარა ძაან მალე და დღეს დღეობით არ მაწუხებს, ისე როგორც ვიყავი ისე არავარ. და მაღლობელი ვარ უფლის და მაღლობელი ვარ თქვენი.

- ექიმმა მითხრა რო მაქ ნაპრალები და ვარ სასწრაფოთ საოპერაციო. რაღაც 5% მინიმალური გადარჩენის შანსი და ისიც სავარაუდო. და ეხლა ამას რომ დავამთავრებ და უნდა მივიღე ექიმთან და მაინტერესებს ექიმი რას მეტყვის, მე ხო ვგრძნობ შედეგს, უკეთესი კი არა, უკვე კარგათ ვარო იმის თქმის მეშინია.

ციური ა. ავთვისებიანი სიმსივნე, გახსნილი, ჩირქოვანი ჭრილობა

- მედიცინამ რომელმაც დაადგინა, რომ ეს იყო ავთვისებიანი სიმსივნე, და კარგად ბრძანდებოდეთო, და არავითარი სხვა რამ არ შემოთავაზეს, მოვედით თქვენამდე. მოლისანმა სანიტარული პრობლემაც მოგვიხსნა, რომ იყო ბინძური გამოწადენი, ჩირქი, სისხლი, კოლტები. ეს მოხსნა მოლისანმა და დღესდღეობით შეიძლება მთლად განკურნებული არ არის, მაგრამ არის შედეგი ის რომ, დასუფთავდა სითხე, გაქრა ცუდი სუნი. და მოსავლელად ადვილი არის უკვე პაციენტი.

ციკო მ. მწვავე ტონზილიტი (ანგინა)

- საოცარი ეფექტის მომტანია, ბავშვს ვავლებინებ. მწვავე ტონზილიტი აღენიშნება (ოპერაციისგან თავს ვიკავებ). 3 დღეა მოლისანის გამოვლება დავუწყე და შედეგიც სახეზეა, ჩირქოვანი ნაღები მოაცილა, სინითლე და ტკივილიც მოუხსნა, ხანგრძლივი მკურნალობის კურსით ვაპირებთ მოხმარებას. მადლობა თქვენ და დიდი იმედი მაქვს, რომ მოვა დრო, როცა კლასიკურ მწვალებლურ და კომერციულ მედიცინას ჩაანაცვლებს მოლისანის ნატულარული და ტრადიციული პრეპარატები.

აკადემიკოსი ნომული ჟათარძე ტროპიკული წყლული

- შვიდი წლის წინ ფეხის კიდურებზე მუხლს ქვემოთ გამიჩნდა ტროპიკული წყლული, რომელსაც ვმკურნალობდი წლების განმავლობაში სხვა და სხვა მეთოდით, როგორც ავთიაქში შეძენილი მაგებით ასევე ხალხური წამლებით, მაგრამ შედეგს ვერ მივაღწიე. ყოველივე ამას ახლდა აუტანელი ტკივილები და ქავილი.

- ერთხელ შემთხვევით ფეისბუქზე წავიკითხე მოლისანის რეკლამა და გადაწყვიტე მისი მოხმარება, რომელმაც მოლოდინს გადააჭარბა. ერთ ფეხზე მთლიანად განკურნე და მეორეს განკურნებაც სწრაფი შედეგით მიმდინარეობს. შედეგი არის ფანტასტიური.
- მე მოუწოდებ ყველა ტროპიკული წყლულით დაავადებულთ, რომ სასწრაფოდ გამოიყენეთ მოლისანი, რომელიც მოგანიჭებთ შვებას. მე არ ვიცი ვინ გამოიგონა ეს უკვდავები სიტხე, მაგრამ მივმართავ ნობელის პრემიის კომიტეტს მთელი ამ დაავადებით დატანჯულ ადამიანების სახელით მიანიჭოთ ეს საპატიო პრემია მის გამომგონებელ ღვთისგან მოვლენილ ადამიანს.

ანა ა. ალერგიული დერმატიტი

- ბათუმის შემდეგ ჩემ შვილს ჰქონდა გამოყრილი მთელ სახეზე და ტანზე. ექიმებთან რომ დავგყავდა ზოგი რას უწერდა, ზოგი რას. დიაგნოზი ატოპიური დერმატიტი დაუსვეს. ბოლოს თბილისში გვყავდა მაგრამ იქ მკურნალობამაც

კიარ გამოიღო შედეგი. მერე ვნახეთ აქ მოლისანის გვერდი და გადავწყვიტეთ ეს ბოლო იმედივით გამოგვეყენებია და მართლაც გაამართლა.

- მარჯვენა ლოყაზე ჰქონდა ცოტა გამონაყარი, მარცხენა კი ძაან. მოლისანის ხმარება რომ დავინწყეთ მარჯვენა ლოყაზე გამოაფინა რაც ჰქონდა, ალბათ ამოიღო სიმხურვალე. მარცხენაზე კი გაუქრა 5 დღეში დაახლოებით.
- ამასთან კოლოიდურ ვერცხლს ვალევივინებდი, და ამ ყველაფერმა უშველა ნამდვილად რის გამოც მადლობას გიხდით. ანნა ახვლედიანი.

ეთერი ო. ჰერპესი

- თქვენ არ იცით, რა სატკივარი მომაცილებინეთ. გაიხარეთ, სამადლობელო სიტყვები არ მყოფნის. 4 წელი ტუჩზე ერთმა თითქოსდა უბრალო ჰერპესმა გამანამა, გამაგრდა, გაიზარდა, შემდეგ გასკდა და აგერ 4 წელია ვერაფრით შემიხორცდა, სირსველი არ შრებოდა, საშინელი ტკივილი მქონდა, გარეთ გასვლა მეზარებოდა, ტუჩზე ხელებაფარებული დავდიოდი. მოლისანის

გამოყენების პირველსავე დღეს შეება ვიგრძენი, აღარც მტკივა, მეორე დღესვე სისველე ამოშრა, ანთება ჩაქრა და უკვე პირს იკრავს, ღმერთმა გაგახაროთ და გაგაძლიეროთ, თქვენი ძალიან მადლიერი ვარ. ღმერთმა დაგლოცოთ.

ზარზარე გ. ექიმი-გინეკოლოგი

- მე უკვე რამოდენიმე თვეა ვიყენებ მოლისანს საშოს სანაცოისთვის და კმაყოფილი ვარ შედეგით. ჩემი საყვარელი მედიკამენტი, ხშირად ვიყენებ სქესობრივი გზით გადადებული ინფექციების მკურნალობისას და ჰიპერანდროგენიით გამოწვეული გამონაყარის კომპლექსური თერაპიისას.

ნონა პ.

- ძალიან მაგარია მოლისანი, ვიყენებ დეზადორის მაგივრად ილღიაში. ღრძილების ანთების დროს რამოდენიმე გამოვლებამ მიშველა, ერთი სიტყვით თუ გაქვს მოლისანი სახლში - დაცული ხარ.

ოქროს კოლოიდი

კოლოიდური ოქროს მოაქვს ჯანმრთელობის შეგრძნების სიხარული. სტიმულირებს ორგანიზმის აღდგენით ფუნქციებს, ამაღლებს ორგანიზმის ბუნებრივ წინააღმდეგობას დაავადებების მიმართ.

ხელს უწყობს სიცოცხლის სიმტკიცეს და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

აი იმ დაავადებათა ჩამონათვალი, რომელთა წინააღმდეგაც გამოიყენება კოლოიდური ოქრო: თავის ტვინის ფუნქციის დარღვევა, დეპრესიული მდგომარეობა, ნარკომანია, ქრონიკული ალკოჰოლიზმი, ართრიტი, დამწვრობა, გაცივებით გამოწვეული ავადმყოფობა, სისხლის მიმოქცევის სისტემის ფუნქციის დარღვევა, საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევა, თერმორეგულაციის მექანიზმების დარღვევა, სიმსუქნე, კიბო.

ვერცხლის კოლოიდი

ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან, ადამიანები ეპიდემიებთან საბრძოლველად იყენებდნენ ვერცხლიან წყალს; ის უნარჩუნებდა სიცოცხლეს დაჭრილებსა და ავადმყოფებს. თანამედროვე კვლევებმა ცხადყო, რომ კოლოიდური ვერცხლის იონებს გააჩნიათ არა მარტო ძლიერი ანტიბაქტერიული და ანტივირუსული თვისებები, არამედ აძლიერებენ იმუნიტეტს. ვერცხლიანი წყალი – ძლიერი ანტიბიოტიკია, რომელიც არ იწვევს გვერდით მოვლენებს და მიჩვევას თუნდაც ხანგრძლივი გამოყენების შემთხვევაში. ვერცხლიანი წყალი შეუცვლელია გრიპის, მწვავე რესპირატორული დაავადებების, სტომატიტების, ქრ. გასტრიტის, კოლიტის, წყლულოვანი დაავადებების, თერმული დამწვრობის, დერმატოზების, თმის ცვენის, კანის ჩირქოვანი დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის.

კოლოიდური მინერალების მიღება პროფილაქტიკისთვის რეკომენდირებულია 1 ჩაის კოვზი ღლეში 1 ან 2-ჯერ, საჭმლის მიღებამდე. ოპტიმალური შენთვისათვის დააყოვნეთ კოლოიდი 3-4 წუთი პირის ღრუში და შემდეგ დააყოლეთ 200 მლ. «ცოცხალი წყალი».

უკუჩვენება: ორსულებისა და მეძუძური დედებისათვის რეკომენდირებულია მკურნალ ექიმთან კონსულტაციის შემდეგ. პროლუქტის ინდივიდუალური შეუთავსებლობის დროს.

სპილენძის კოლოიდი

კოლოიდური სპილენძი - მუდმივი ახალგაზრდობის საიდუმლო.

სპილენძი, მედიცინასა და კოსმეტოლოგიაში, გამოიყენება რამდენიმე ათასწლეულობის განმავლობაში. ლეგენდები გვამცნობენ, რომ მეფე სოლომონმა დედოფალ საესკას აჩუქა ფხვნილი, რომელსაც უნდა შეენარჩუნებინა და გაეუმჯობესებინა მისი სილამაზე. ეს ფხვნილი გამოიყენებოდა საცხის სახით სახისა და ტანისათვის. საინტერესოა, რომ იგივეს ამბობენ კლუოპატრასა და ნეფერტიტზე, რომელთა შესახებ ლეგენდები გვიყვებიან მათ არაჩვეულებრივ სილამაზეზე. საუკუნეების განმავლობაში, ადამიანები ატარებდნენ სპილენძის სამკაულებს, როგორც სხვადასხვა დაავადებების, მაგალითად ართრიტების სამკურნალო საშუალებად.

სპილენძი აქტიურად მონაწილეობს სისხლის წარმოქმნასა და ნივთიერებათა ცვლის პროცესში, ტონუსს მატებს ღვიძლს, ელენთასა და ლიმფურ სისტემას, სძობს მიკრობებს, ხელს უწყობს წონის დაკლებას. სპილენძს იყენებენ პარაზიტული დაავადებების, სისხლნაკლებობის, მენინგიტისა და რადიკულიტის სამკურნალოდ.

თუთიას კოლოიდი

თუთიას სამართლიანად უწოდებენ სიხარულის, ბედნიერებისა და ძალის მომნიჭებელ ელემენტს, კოსმეტოლოგები კი მას “კოსმეტიკურ” მიკროელემენტად მიიჩნევენ. მასზე ბევრად არის დამოკიდებული თმის ბზინვარება და კანის სილამაზე. ორგანიზმის მხრივ თუთიის მოთხოვნილება საკმაოდ დიდია. ამ მხრივ ეს მიკროელემენტი არ ჩამოუვარდება რკინას. თუთია სჭირდება ყველა ორგანოს, თითოეულ უჯრედს. ის ჰაერივით აუცილებელია. ის აუცილებელია მხედველობისა და მესხიერებისთვის, იმუნური სისტემის ფუნქციის შესანარჩუნებლად, რეპროდუქციული სისტემის მუშაობისთვის.

თუთია გავლენას ახდენს ჩვენს გონებრივ შესაძლებლობებზეც. დადგენილია, რომ ხუთოსან მოსწავლეებს ორგანიზმში თუთია გაცილებით მეტი აქვთ, ვიდრე ჩამორჩენილებს. თუთიით მდიდარი საკვების მიღება ხელს უწყობს სწრაფ აზროვნებას. თუთიას შესწევს უნარი, დააჩქაროს ტრილობების შეხორცება, ამიტომ ეს ელემენტი სამკურნალო და კოსმეტიკური მაღაშობების მთავარი კომპონენტია. თუთიის ღირსებები არც ამით ამოიწურება; მას კიდევ ერთი უნიკალური თვისება აქვს - ამაღლებს გუნება-განწყობას, იცავს ადამიანს აპათიისა და დეპრესიისგან.

“ცოცხალი წყალი”

შემადგენლობა: გამდიდრებული ვერცხლის იონებით აქტივირებული, სტრუქტურირებული წყალი.

«ცოცხალი წყალი» ახდენს ენერგეტიკული ბალანსის და მნიშვნელოვან სასიცოცხლო პროცესების მიმდინარეობის ნორმალიზებას.

«ცოცხალი წყალი» აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას და აძლიერებს იმუნიტეტს. «ცოცხალი წყალი» აუმჯობესებს უჭრედთა მემბრანების მუშაობას და მკვეთრად ანელებს ადამიანის ორგანიზმის დაბერების პროცესს. «ცოცხალი წყალი» აჩქარებს ტოქსინების და ბიოლიგიური შლაკების ორგანიზმიდან გამოდევნის პროცესს. «ცოცხალი წყალი» აჩქარებს ჭრილობების შეხორცებას და ხელს უწყობს ოპერაციის შემდგომ ნაწიბურის განოვას. «ცოცხალი წყალი» ზრდის სასიცოცხლო ტონუსს და გამოიყენება სტრესების და გადაღლის მოსახსნელად. «ცოცხალი წყალი» აძლიერებს და ტონუსს მატებს ორგანიზმს. ხელს უშლის ალერგიულ რეაქციებს და დერმატიტებს, ამცირებს მათ ინტენსივობას. «ცოცხალი წყალი» ხელს უწყობს დაგროვილი მარილების გამოდევნას ორგანიზმიდან და ამცირებს ძვალ-სახსროვან ტკივილებს. «ცოცხალი წყალი» გამოიყენება თმის და კანის მოსაუფლებლად. «ცოცხალი წყალი» წარმატებით გამოიყენება კოსმეტოლოგიასა და

დერმატოლოგიაში. «ცოცხალ წყალს» იყენებენ პედიატრები ჩვილების დასაბანად და მრავალი დაავადებებისაგან მათ დასაცავად. «ცოცხალი წყალი» გამოიყენება მრავალი დაავადებების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის. მათ შორისაა: შაქრიანი დიაბეტი, ვირუსული ჰეპატიტი, ფარისებული ჯირყელის ადენომა, მარდის ბუშტის ანთება, კუჭნაწლავის დაავადებები, სალმონელოზი, დიზენტერია, სეპორეა, ეგზემა, წყლულოვანი დაავადება, სტომატიტი, ქრონიკული ბრონქიტი, ალერგოდერმატიტი, ანგინა, ტონზილიტი, ნეფროლოგიური დაავადებები, და ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციის პერიოდში.

„ცოცხალი წყალი“ უნდა დაილიოს დღეში მინიმუმ ორი ლიტრი (30 - 60 მლ. 1 კგ-ზე.), დილით უზმოზე (უმჯობესია ორი ჭიქა), ყოველი ჭამის წინ (20 - 30 წუთით ადრე), და ღლის განმავლობაში.





მნიშვნელოვანი გაფრთხილება:

ბროშურაში წარმოდენილი ყველა პრეპარატი მიეკუთვნება კომპლემენტარული მედიცინის საშუალებების ჯგუფს. ფორმალურად ამ საშუალებებს არ სჭირდებათ ექიმის რეცეპტი და ნებისმიერი ადამიანი უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადანყვეტილება მათი შეძენისა და გამოყენების თაობაზე. მიუხედავად ამისა, საჭიროა მნიშვნელოვანი სიტუაციის გამოვლენა. ბროშურა «მოლისანი - საუკეთესო გზა ჯანმრთელობისაკენ» განკუთვნილია მომხმარებლის ინფორმირებისთვის კომპლემენტარული მედიცინის საკითხებთან დაკავშირებით. ბროშურის ავტორები და მთარგმნელები არ არიან პასუხისმგებელნი დასმულ დიაგნოზსა და დანიშნულ მკურნალობაზე. ეს საკითხები სათანადო კომპეტენციის მქონე მედიცინის სპეციალისტების სფეროს წარმოადგენს. აგრეთვე, ავტორები და მთარგმნელები არ იღებენ ბროშურაში მოყვანილი მასალების გამოყენების შემთხვევაში რაიმე პასუხისმგებლობას შედეგებზე.



Tbilisi, Georgia
Sana Pharmaceuticals
+995(32)214-10-10

www.molisani.ge
www.facebook.com/molisani.ge

